საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნაძე თამარ რევაზის ასული

კიკნაძე თამარ რევაზის ასული (დ. 10. VII. 1959, თბილისი), პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი (2000).

დაამთავრა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი (1982_87), თბილ. ბიზნეს-სკოლა (1988_89), მოსკოვის დიპლომატიური აკადემია (1995_97). სამეცნიერო კვლევა დაიწყო (1993–1995) თსუ-ში და გააგრძელა მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში (1997_2000). იკვლევდა ეთნოკონფესიური ურთიერთობების ევოლუციას კვიპროსის მაგალითზე და სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის გენდერულ ასპექტებს. სამეცნიერო კვლევას აწარმოებდა ბუდაპეშტის ეკონომიკის სკოლაში (1993), რათჰერის (ნიუ-ჯერსი, აშშ) უნ-ტში (2004).

კ. იყო თსუ-ის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი (1993–95), პოლიტ. კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილე, პროფესორი (1999–2007); შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტის ბიზნესის მართვისა და სოც. მეცნ. ფაკ-ტის დეკანი (2004–11), კავკასიის საერთაშ. უნ-ტის პროფესორი, პოლიტ. მეცნ. სადოქტორო პროგრამის, საერთაშ. ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის, პოლიტიკური კვლევების ინ-ტის ხელმძღვანელი (2011); შავი ზღვის უნ-ტის პროფესორი (2009–11), სტუ-ის პოლიტიკის და საერთაშ. ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი (2021). არის სხვადასხვა საერთაშ. ორგანიზაციის, საზ-ბის, სამეცნ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

თხზ.: ქალი და პოლიტიკა, პოლიტოლოგია, თბ. 2003, გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბ. 2006; Образ женщины в религии и политике, Религия. История и современность. Учебник для вузов, М. 1998; Истоки социально-политического неравенства; Женщина и религия, Тб. 1999;

Гендерный аспект социально-культурной и духовной трансформации современного общества, М. 2002, Гендерный аспект социально-культурной и духовной трансформации современного общества. Изд. Социально-гуманитарные знания, М. 2002.